

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 14

ქ.თბილისი

2020 წლის 5 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 5 ნოემბერს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ბ. ზიზიბაძის ოქმი, მთავარი მსაჯის დ. ფირცხალავას წითელი ბარათის ოქმები, ამა წლის 1 ნოემბერს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, ზუგდიდის „ზუგდიდი“-სა და ქუთაისის „ბაგრატი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბე გიორგი ძომუაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. ზუგდიდის „ზუგდიდი“-ს მორაგბე ანდრო არჩაია - კონფლიქტის პროვოცირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართ # 1-ის 2.7 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბე გიორგი ძომუაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. ზუგდიდის „ზუგდიდი“-ს მორაგბე ანდრო არჩაია დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/